# საქართველო

№ 3 (30) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 17 იანვარი 1943 წ.

## ჩვენზე ზრუნავს დიდი გერმანია

ჩვენი ძმების ლეგიონერების უმრავლესობა დღეს ბრძოლის ველზეა და გმირულად იბრძვის სამშობლოს განთავისუფლებისათვის. გერმანიის იმპერიამ ქართველ ლეგიონერებს ყველა პირობა შეუქმნა, რათა გერმანელ ჯარისკაცებთან მხარ და მხარ იბრძოლონ ბოლშევიკური ჯოჯოხეთის გასანადგურებლად, იხსნას მშობელი ერი. ჭეშმარიტებით აღძრული ბრძოლა, რომელსაც დიადი გერმანია მეთაურობს, დასრულდება ბრწყინვალე გამარჯვებით.

ჩვენი იდეალი—მოსკოვის სატრაპთაგან ჩვენი საყვარელი მამულის განთავისუფლება მოითხოვს დიდ მსხვერპლს. სავსებით ბუნებრივია ის გარემოება, რომ ახლა თვითეული ლეგიონერი თავის თავს უყენებს კითხვას: რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ჩვენგანი დაიჭრება, ავად გახდება, ან გმირულად დაიღუპება?

ამ ამაღელვებელ კითხვაზე ამომწურავ პასუხს იძლევა გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ბრძანება, რომელიც უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა. ამ ბრძანების თანახმად თვითეული ლეგიონერი ისე, როგორც გერმანელი ჯარისკაცი, ავადმყოფობისა თუ დაჭრის, ან დასახიჩრების შემთხვევაში მიიღებს ყოველგვარ დახმარებას თავისი ხალხისაგან. ისინი სავსებით უზრუნველყოფილნი იქნებიან.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ბრძანებაში ხაზგასმითაა აღნიშნული დახმარებანი, რომლითაც ისარგებლებენ დაჭრილნი, დასახიჩრებულნი და მათი ოჯახის წევრნი. თვითეული დაჭრილი ან დასახიჩრებული მოთავსებული იქნება ცალკეულ საავადმყოფოში, მათ მიეცემათ უფასო სამკურნალო დახმარება, იმავე წესების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია გერმანელ ჯარისკაცთათვის, ამასთანავე მათ დამატებით მიეცემათ დასვენება სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში რათა საბოლაოდ აღიდგინონ ჯანმრთელობა. თუ ლეგიონერმა სამსახურში ყოფნის მთელ მანძილზე მიიღო დროებითი ან სამუდამო დასახიჩრება, ან დაავადდა, მას აქვს უფლება მიიღოს სახელმწიფო დახმარება პენსიის სახით.

ბრძოლის ველზე დაღუპულთა, ან გარდაცვლილ ლეგიონერთა ოჯახთათვის დაობლებულ ოჯახის წევრს აქვს უფლება მიიღოს პენსია; ქვრივი პენსიას მიიღებს მეორედ დაქორწინებამდე, ობოლი კი — 14 წლის ჰასაკამდე.

აქ მოყვანილი ფაქტები ნათელჰყოფენ იმ გარემოებას, თუ რარიგ ზრუნავს გერმანია და მისი მთავრობა მებრძოლზე და მის ოჯახზე. თვითეული ლეგიონერი ამ ბრძანებას დაწვრილებით შეიძლება გაეცნოს, როგორც ლეგიონის, ისე ბატალიონების საველე შტაბებში. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ეს ღონისძიება ერთხელ კიდევ ადასტურებას იმას, რომ ლეგიონერს, რომელიც გმირულად იბრძვის დღეს ფრონტზე, იმედით შეუძლია უცქიროს მომავალს.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ბრძანების თვითეული მუხლი აღსავსეა ნამდვილი მზრუნველობით ლეგონერზე. იბრძვიან რა გერმანელ ჯარისკაცებთან ჩვენი ძმები ისინი გაღებულ სისხლისათვის გარანტირებულნი არიან სახელმწიფოს მიერ.

მომავლის ღრმა რწმენით ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, მომავალი თაობის ბედნიერებისათვის. ის, ვინც გმირულად დაეცემა ბრძოლის ველზე, მას არაოდეს დაივიწყებს გერმანელი ხალხი, სამშობლოს განთავისუფლებისათვის რაინდულად მებრძოლი ჩვენი ძმების ნათელი ხსოვნა ჩაუქრობ კანდელივით იკაშკაშებს ჩვენი ხალხის გულში. ძმებო ლეგიონერებო, ჩვენზე ზრუნავს დიდი გერმანიის მთავრობა, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენი სისხლი ამაოდ არ ჩაივლის, იგი ბრწყინვალე ნაყოფს გამოიღებს!..

ჰ. ს. ლ.



გერმანელთა ჯავშნოსნები გადადიან მდინარეზე.

## ნაციონალური ჩინეთი ჩაება ომში

9 იანვარს ჩინეთის ნაციონალურმა ხელისუფლებამ ომი გამოუცხადა ინგლისს და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ნანკინისა და იაპონიის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ორივე მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ბრძოლა აწარმოოს საბოლოო გამარჯვებამდე, ვიდრე არ იქნება შესაძლებელი დამყარდეს აზიაში ახალი სამართლიანი წესრიგი. იაპონიის იმპერია და ჩინეთის ნაციონალური რესპუბლიკა მჭიდროთ იქნებიან დაკავშირებულნი როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო და სამხედრო დარგშიაც.

იაპონიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოჟომ აღნიშნა ამ მოვლენის დიდი მნიშვნელობა. დიადი აზიის მრავალმილიონიანი ხალხიებმებაბრძოლაში, რომელსაც მეთაურობს იაპონია შორეული აღმოსავლეთის განთავისუფლებისათვის ამერიკელთა და ინგლისელთა მოძალადე მზრუნველობისაგან, მტაცებლობისაგან. ნანკინის მთავრობის თავმჯდომარემ ვან-ძი-ვეიმ თავის სიტყვაში მიმართა რა ხალხს, აღნიშნა, რომ ჩინეთმა მთელი თავისი ბედი დაუკავშირა იაპონიის ბედს.

ჩინეთის ომში ჩაბმა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს აღმოსავლეთ აზიაში, ომის შემდგომი წარმოების საქმეზე. იაპონია-ნანკინის მთავრობათა მიერ ხელმოწერილია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ჩინეთს ენიჭება სუვერენული უფლება კონცესიათა ტერიტორიაზე და უქმდება ექსტერიტორიალური უფლება.

სისხლის მსმელ რუზველტს თავისი უკანასკნელი გამოსვლით სურდა გამოეფხიზლებინა ჩან-კაი-შეკი თითქოს მის ზურგში იდგეს მთელი ჩინეთი. ნამდვილად ჩან-კაი-შეკის გავლენის ქვეშ იმყოფება მთელი ჩინეთის მოსახლეობის მხოლოდ ორი მესამედამდე.

## მკვლელობა თეირანში

**ანკარიდან იტყობინებიან, რომ თეირანის ქუჩებში ერთ-ერთი ბრბოს მიერ მოკლულია მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ფურუჯი, რომელმაც 1941 წლის აგვისტოში მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ერთის მხრივ ირანსა და ინგლისის შორის, ხოლო მეორეს მხრივ სსრ კავშირთან.**







**ზამთარი ფრონტზე. მარჯვნივ:** გერმანელი ჯარისკაცი გუშაგობს ცეცხლის ხაზზე, **შუაში:** გერმანელთა მეთხილამურე ბატალიონი ჩრდილოეთის ფრონტზე, **მარცხნივ:** ჟინულოვან სანგრებში. გერმანელ ჯარისკაცს მოაქვს საკვები.

## დაბადებიდან 50 წელი





ადოლფ ჰიტლერის უახლოესი თანამებრძოლები: იმპერიის მარშალი ჰერმან გერინგი და იმპერიის მინისტრი ალფრედ როზენბერგი.

### ჰერმან გერინგი

მიმდინარე წლის 12 იანვარს გერმანიის იმპერიის მარშალს ჰერმან გერინგს შეუსრულდა დაბადებიდან 50 წელი. მტკიცე ნებისყოფამ და თავის თავზე აღებულმა მძიმე მოვალეობის პასუხისმგებლობამ ეს ადამიანი მიიყვანეს იმპერიის მარშალის საპატიო თანამდებობამდე. ჰერმან გერინგი ადოლფ ჰიტლერის უახლოესი თანამებრძოლია, მას გააჩნია ღრმა ცოდნა როგორც პოლიტიკური, კულტურული, ისე სამეურნეო საკითხებისა.

მსოფლიო ომის დროს ჰ. გერინგი იყო ერთერთი ნიჭიერი მფრინავი გერმანიის არმიისა. საუკეთესო მფრინავის რიხტჰოფენის სიკვდილის შემდეგ იგი იყო ცნობილი ესკადრილიის მეთაური, რომელიც უძლეველად ითვლებოდა მთელს გერმანიაში. გერინგი ჯერ კიდევ მაშინ იმსახურებს უმაღლეს ხარისხის ჯილდოს. დასრულდა ომი, გერინგმა არ შეასრულა ბრძანება თვითმფრინავების ჩაბარების შესახებ. ამხანაგებს გამომშვიდობისას მან მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ ყოველთვის უნდა ვფიქრობდეთ იმაზე, რომ შევქმნათ ახალი ავიაცია, ჩვენი ესკადრილია უნდა აღსდგეს, მე მზადა ვარ შევასრულო ეს სამუშაო“.

და როცა ადოლფ ჰიტლერმა შექმნა გერმანიის ახალი არმია, მან დაავალა ჰ. გერინგს ჩამოეყალიბებინა ახალი გერმანული ავიაცია. ეს დავალება მან ბრწყინვალედ შეასრულა.

ჰერმან გერინგმა შექმნა მსოფლიოში უძლიერესი ავიაცია. გერმანიის დღევანდელი ავიაცია, რომლის ძალა იგემეს მტრებმა მისი ხელმძღვანელის მტკიცე ნებისყოფის გამომხატველია.

ავიაციის ხელმძღვანელმა თავისი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა სამეურნეო ცხოვრების სარბიელზედაც. ადოლფ ჰიტლერმა კარგად იცოდა, რომ გერინგი იყო ადამიანი, რომელსაც შესწევდა ძალა მოეხდინა სამეურნეო ცხოვრების განახლება, მისი რეორგანიზაცია თანამედროვე პირობებთან შესაბამისად. სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ეს პასუხსაგები დარგიც ჰერმან გერინგმა იშვიათი ორგანიზებულობით წარმართა, მოაწყო.

ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის კარგმა მცოდნემ მთელი თავისი ნიჭი მოანდომა გერმანიის ახალი სახელმწიფოს განმტკიცებას, იგი ამავე დროს არის პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი და გერმანიის რაიხსტაგის თავმჯდომარე.

ჰ. გერინგმა წესრიგი დაამყარა სატყეო მეურნეობისა და მონადირეობის საქმეშიც. ბუნების სიყვარულით აღფრთოვანეული, იგი მზრუნველობით ხელმძღვანელობს ამ დარგს. გერმანიის ხალხს უყვარს თავისი ღვიძლი შვილი ჰერმან გერინგი; იგი არა მარტო დიდი მეგობარია ჯარისკაცებისა, არამედ მეგობარი და მებრძოლი ხელმძღვანელი მუშებისა, გლეხებისა, მთელი გერმანელი მოსახლეობისა.

### ალფრედ როზენბერგი

ალფრედ როზენბერგი არის ადამიანი, რომელმაც თავისი შემოქმედება და ცხოვრება მოანდომა ბოლშევიზმთან შეურიგებელ ბრძოლას. მან ჯერ კიდევ ახალგაზრდამ განსჭვრიტა ის საფრთხე, ბარბაროსი ბოლშევიზმი რომ უქმნიდა ევროპას. თავის გამოსვლებში გერმანელი ხალხის დიადი შვილი ალფრედ როზენბერგი ემსახურება უკეთილობილეს საკაცობრიო საქმეს; ეს არის ბრძოლა საერთაშორისო ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

სახელგანთქმული ორატორი ალფრედ როზენბერგი რაზმავდა და ბრძმედდა ახალი მოძრაობის გარშემო ევროპის საზოგადოებრივ აზრს. ადოლფ ჰიტლერის შემდეგ იგი არის გერმანიის ხალხის გამოჩენილი სახელმწიფოებრივი მოღვაწე და თეორეტიკოსი ნაციონალ სოციალისტური მოძრაობის და გერმანელი ერის აღმზრდელი.

დიდ სამართლიან ომში დღეს თვითეული გერმანელი ჯარისკაცი წარმოადგენს ახალი იდეებისა და მორალური პრინციპების მატარებელს, იგი მარადიულად ინახავს გერმანელი ერის სიდიადეს, რომელზედაც ალფრედ როზენბერგმა ააგო ნაციონალ-სოციალიზმის ძირითადი პრინციპები.

ალფრედ როზენბერგი ყოველთვის იყო და არის ევროპის სოლიდარობის პრინციპის მატარებელი, გამომხატველი; იგი თავის დროზე ხედავდა იმ იდეას, რომელიც წარმოადგენდა ევროპის ახალგაზრდა ერების აღორძინების საფუძველს. ამჟამად ალფრედ როზენბერგი ხელმძღვანელია იმ უდიდესი სივრცისა აღმოსავლეთში, რომელიც ჰქმნის მკვიდრ საძირკველს აღმოსავლეთის ხალხთათვის განახლებული ცხოვრების ასაშენებლად. იმპერიის მინისტრი ა. როზენბერგი დაიბადა აღმოსავლეთ ევროპაში; იგი კარგად იცნობს ამ ტერიტორიაზე მოსახლე ერებს, მათ ადათს, კულტურას, მისწრაფებას, ამიტომ ადოლფ ჰიტლერმა როზენბერგის სახით ღირსეული ადამიანი წამოაყენა აღმოსავლეთ ევროპის ახალი ცხოვრების მშენებლობის მეთაურად.

[illegible] გერმანელი ხალხი აღფრთოვანებით აღნიშნავს მისი დაბადებიდან 50 წლის თავს.

## მდგომარეობა ფრონტებზე

გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ნავთსადგურ ჰელენჯიკს. საჰაერო თავდასხმების შედეგად განადგურებულია სანაპირო გზები და ბოლშევიკების ჯარის კოლონები.

დონის მიდამოებში გრძელდებოდა მძიმე თავდაცვითი ხასიათის ბრძოლა. წითელი არმიის ყველა იერიში მოგერიებული იქნა გერმანელთა მიერ, მტრისათვის დიდი დანაკარგით. გერმანელთა ერთ-ერთმა სატანკო დივიზიამ მტერთან გააფრთებული ბრძოლისას გაანადგურა საბჭოთა 31 ტანკი, ხოლო მოტორიზებულმა ნაწილმა—25 ტანკი.

კალმიკიის ველებზე და სტალინგრადის არეზე გრძელდება სასტიკი ბრძოლა. ფრონტის ცენტრალურ უბანზე გერმანელებმა აღმოაჩინეს ბოლშევიკების ცხენოსანი ჯარის რაზმები, რომელიც მოსპობილი იქნა გამანადგურებელი ცეცხლით. ველიკი ლუკთან ბრძოლის დროს ბოლშევიკებმა დაჰკარგეს 14 ტანკი. მტრის იერიშები მიმართული ამ ქალაქისაკენ უკუგდებული და განადგურებული იქნა.

ფრონტის ჩრდილოეთის უბანზე ილმენის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბოლშევიკების ცდა თავი დაეღწიათ დამთავრდა. წითელი არმიის ფეხოსანი ჯარის შემოტევები მოგერიებულია ილმენის ტბის რაიონში, აგრეთვე ვოლხოვთან და ლენინგრადთან.

ყანდალაქშის ფრონტზე ბოლშევიკებმა მსხვილი ძალებით დაიწყეს შემოტევა. გერმანელებმა არა მარტო უზრუნველჰყვეს მოგერიება, არამედ გაანადგურეს მტრის დიდი ძალები, მიაყენეს მას აურაცხელი ზარალი. ავიაცია ყუმგზას. გერმანიის არტილერია და ავიაცია ბარებს უშენდა მურმანსკის რკინისმოხერხებულად ესროდა დღითა და ღამით ყუმბარებს ბოლშევიკების გზას გაყინულ ლადოგის ტბაზე.

ტუნისში გერმანელთა მიერ აღებულია მტრის ახალი დასაყრდენი, გამაგრებული პუნქტები და აყვანილია მრავალი ინგლისელი ტყვე. ჩრდილოეთის ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ერთი სატრანსპორტო გემი, რომლის წყალწყვაც 5000 ბრუტო-ტონას აღწევს.

## უცხოელთა დელეგაციები იმპერიის მარშალთან

გერმანიის იმპერიის მარშალის ჰერმან გერინგის დაბადებიდან 50 წლის თავის შესრულების გამო გერმანიის მოკავშირე ქვეყნების მრავალმა დელეგაციამ თავიანთ მთავრობებთაგან მიართვა მარშალს მილოცვანი, წერილები და საჩუქრები. იტალიიდან მარშალს ეწვივნენ მეფის, დუჩესა და საგარეო სამინისტროს დავალებით იტალიის ილჩი დინო ალფიერი, გენერალი ფუგიერი, ელჩი გრაფი მარტინ-ფრანკლინი, გენერალი ილარი და ავიაციის ატაშე ბერლინში.

იმპერიის მარშალს ესტუმრნენ აგრეის, იაპონიის, რუმინეთის, ბელგიის სლოვაკიის, დანიისა და შვეციის სახელმწიფოთა დელეგაციები.
თვე უგრეთის, ფინეთის, ხორვატი-

## ჩრდილო აფრიკაში

როგორც კაზაბლანკიდან. იტყობინებიან ჩრდილოეთ-აფრიკაში ადგილი აქვს განუწყვეტლივ შეტაკებებს არაბებსა და ინგლის-საქსონელთა ჯარს შორის. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ქალაქში მოკლული იქნა 7 ამერიკელი ჯარისკაცი.

ადგილობრივ მოსახლეობაში აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ებრაელთა გავლენა დღითი-დღე იზრდება, რასაც მფარველობას უწევს ამერიკელთა ხელისუფლება.

როგორც ტანჟერიდან იუწყებიან კაზაბლანკაში სამი თვის ვადით დახურეს გაზეთი „ლა-ვუა-ფრანსეზ“ ანტიებრაული მიმართულების გამო.

დღითი-დღე იზრდება აგრეთვე უკმაყოფილება მოხელეთა შორის ოკუპანტებისადმი. ამის გამო გენერალი ნოგეზი იძულებული გახდა სპეციალური მოხსენებით მიემართა გენერალ ჟიროსათვის, რომლის აზრით აუცილებელია კონტროლის შემოღება ყველა ფრანგი მოსამსახურეებისადმი, რომელთა შორის იმყოფებიან მრავალი „არა საიმედო ელემენტებისა“.

### თავდასხმა

არაბი ნაციონალისტები დაეცნენ მოსულის ნავთსადენ მილს პალმირასა და ჰომს შუა. არაბთა შორის იმყოფება აგრეთვე სირიის ტრიპოლის მუფტის ძმა მოჰამედ კარანო, რომელიც რევოლვერით მძიმედ იქმნა დაჭრილი.



აღმოსავლეთის ფრონტზე. გერმანელთა მიერ ახლადაღებული საარტილერიო პოზიცია.

# ჯოჯოხეთი ნევის სანაპიროებზე

დანტე ალიგიერი „ჯოჯოხეთში“ ოდესღაც აღწერდა ფანტასტიურ საშინელებებს, მაგრამ ის, რაც ამ ჟამად ლენინგრადში სუფევს, ყოველგვარ წარმოდგენას აჭარბებს, საბჭოთა ფრონტიდან გამოქცეულები და ტყვედ ჩავარდნილნი გადმოგვცემენ კოშმარულ ამბებს, რომლითაც აღსავსენი არიან ნევის სანაპიროები.

## მშივრები ნადირობენ ძაღლებზე.

ლენინგრადში მძვინვარებენ ზამთრის მშიერი დღეები. სიმშილით სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებს თავს ჩალამებულ უბნებს. სიმშილისაგან, სიცივისაგან და მოქანცულობისაგან ღონე მიხდილი ადამიანები ეცემიან ქუჩებზე. ამ საშინელ დღეებში წითელმა სარდლობამ გადასწყვიტა შეექმნა განსაკუთრებული „სანატორიუმები“, რომელშიაც მოთავსებულნი იქნებიან ხელისუფლების ერთგული ადამიანები; წითელი პროფესორები, არტისტები, მწერლები, პარტიის წევრები, რაიკომის მდივნები.

მშიერი მოსახლეობა დაძრწის ქუჩებში და ეძებს ძაღლებსა და კატებს. ოჯახში სადურგლო წებოსაგან აკეთებენ ნახარშს, ნახერხისაგან ხარშავენ ფაფას და იმით იკვებებიან. ამ დროს კი შინსახკომელებს მოსკოვიდან მოდიოდათ ხორცი, ყველი, შოკოლადი, ღვინო.

## სასაფლაოზე ადგილი აღარ არის.

სიცივისა და სიმშილისაგან ლენინგრადში ხალხი მასობრივად იღუპება. სასაფლაოებზე ადგილი აღარ არის. მიცვალებულთ ეს უკანასკნელი ბედნიერებაც წაართვეს ბოლშევიკებმა.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა მკვდრები სახლის სახურავებზე აჰყავდათ, ვინაიდან გადასაზიდი საშუალება ლენინგრადში დიდიხანია მოსპობილია. მკვდრებს აგროვებენ და ერთად ჰყრიან ნანგრევებში. ქალაქში მრავალ ადგილას დანგრეულ შენობებში ეწყო მკვდართა გვამები.

## სპეკულაცია აღრჩობს ხალხს

ქალაქში მძაფრი სპეკულაციაა. ის ვისაც წილად ხვდა დროებით შეინარჩუნოს სიცოცხლე სპეკულაცია ახრჩობს. იმისათვის, რომ იშოვო რამდენიმე გრამი კარაქი, გირვანქა კართოფილი ან ერთი ჭიქა რძე, საჭიროა სამაგიეროდ მისცე ძვირფასი ქვა ან ოქრო.

ჯოჯოხეთურმა ცხოვრებამ შეჰქმნა ურთიერთობის ჯოჯოხეთური ფორმა. ამჟამად ლენინგრადში სწარმოებს საქონელგაცვლა. მაგალითად ერთი მეტრი სატინა ღირს ერთი ლიტრი რძე, ქალის ბეწვიანი წამოსასხამი 80 კილოგრამი კართოფილი, კილოგრამი ბრინჯი-700 მანეთი, კილოგრამი ერბო 1500 მანეთი. ასე გამოიყურება ლენინგრადის შავი ბაზარი, მაშინ როცა აქა იქ სანთლით საძებნ დუქნებში ჰკიდიან საბჭოთა პრეისკურანტები, რომლებზედაც სწერია: ხორცი კილოგრამი-5 მანეთი, ერბო 25 მანეთი და სხვა. ეს ციფრები ნამდვილი დაცინვაა მრავალგზის შევიწროებული და სიმშილისაგან გაპარტახებული მოსახლეობისადმი.

ქალაქში სათბობი სრულიად არ არის. მოსახლეობა მოკლებულია ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას. ნევის სანაპიროებზე ნამდვილი ჯოჯოხეთია, სიმშილისაგან გაფთრებული მოსახლეობა ებრძვის სიკვდილს.



ბერმანიის ავიაციის მიერ განადგურებული საბჭოთა საწყობი.



ბერმანიის სამხედრო ხომალდები ატლანტიკაში.

# აღმოსავლეთის ფრონტზე

„დოიჩე უკრაინე ცაიტუნგის“ 6 იანვრის ნომერში მოთავსებულია სამხედრო მოქმედებათა მეტად საინტერესო მიმოხილვა აღმოსავლეთის ფრონტზე. საომარი ოპერაციები ამჟამად მიმდინარეობს თავდაცვის ნიშნის ქვეშ. მთელი ფრონტი ოპერაციათა წარმოების მიხედვით შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად: პირველი ნაწილი— ჩრდილოეთის ფრონტი. იგი იწყება ლენინგრადიდან ილმენის ტბაზე გავლით, გადის ველიკი ლუკზე, რჟევზე, კალუგის დასავლეთით და აღწევს ვორონეჟამდე. ჩრდილოეთის ფრონტის ეხლანდელი ხაზი თითქმის ემიხვევა გასული წლის ზამთარში გერმანელთა მიერ დაკავებულ ფრონტის ხაზს. სამხედრო შეტაკებანი, რომელიც ამ რაიონში მიმდინარეობს, დაფარულნი არიან გერმანელთა გამაგრებული პუნქტებით და ატარებენ წმინდა პოზიციურ ხასიათს.

დიდი შეტევა, რომელიც ბოლშევიკებმა ნოემბრის ბოლოში განავითარეს რჟევისა და ტოროპცას რაიონში, დამთავრდა წითელი არმიის სრული განადგურებით. ბოლშევიკებმა განიცადეს აურაცხელი დანაკარგი და ვერ მიაღწიეს ვერავითარ დადებით შედეგს.

წითელი არმიის ცდები გაერღვია გერმანელთა სიმაგრენი და ფრონტის ხაზი ამ რაიონში დასრულდა მტრისათვის მწვავე მარცხით. მართალია, ველიკი ლუკისა და ილმენის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კვლავ გრძელდება გამძაფრებული შეტევები წითელი არმიისა, მაგრამ ეს მოქმედებანი არ ატარებენ ფართო მასშტაბის მქონე ოპერაციათა ხასიათს და უკუგდებულნი არიან დიდი დანაკარგით, განადგურებით. ფრონტის სხვა უბნებზე მდგომარეობა უცვლელია.

სრულიად სხვაგვარი მდგომარეობაა სამხრეთის ფრონტზე, რომელიც იწყება ვორონეჟიდან და მდინარე თერგამდე კავკასიაში. აქ, როგორც ვიცით, მთელი კვირეების განმავლობაში მიმდინარეობს წითელი არმიის საზამთრო შემოტევები, რომელთა უმთავრესს მიზანს შეადგენენ მოსწყვიტონ გერმანიისა და მისი მოკავშირეთა ჯარები კავკასიაში მათს უმთავრესს სამხედრო ძალებსა და კვლავ დაიუფლონ უკრაინის სამრეწველო რაიონები.

ამ უბანზე ბრძოლა ატარებს სავსებით სხვაგვარ ხასიათს, ვიდრე ჩრდილოეთის ფრონტზე. აქ არ არის ფრონტის ერთიანი ხაზი. ბრძოლები და შეტევები სწარმოებს ცალკეულ პუნქტებზე და ხასიათდება განუწყვეტელი იერიშებითა და კონტრ-იერიშებით. შევაჯამოთ ამ ფრონტზე ოპერაციათა შედეგი ჯერ კიდევ ნაადრევია, მაგრამ სრული დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ ბოლშევიკები ვერც აქ მიაღწევენ მათ მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას, რადგან ყველა მათი იერიში მოგერიებული და განადგურებულია მამაცი გერმანული არმიის მიერ.

# ფერისცვალება

იყო დრო ბოლშევიკები დასცინოდნენ და ყბად იღებდნენ პაგონებს, ეპოლეტებს, მუნდირებს. დღესასწაულებზე ქალაქებში იმართებოდა კარნავალი. ამ კარნავალზე „პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით“ გამოდიოდნენ კომკავშირლები. გამოდიოდნენ ცისფერი მუნდირებით, ბრჭყვიალა პაგონებით, ვერცხლისფერი ექსელბანტებით, ნილბებით, მურით გათხუპნული და იგრიხებოდნენ... აი წარსული,—ეუბნებოდნენ ხალხს ბოლშევიკები.

იყო დრო ბოლშევიკები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ და საბჭოთა ხალხს ლურსმნით უჭედავდნენ თავში აზრს, რომ პროლეტარიატს არ გააჩნია სამშობლო. სამშობლო—ეს ოდესღაც კეთილშობილების გამომხატველი სიტყვა, თვითეული პატიოსანი ადამიანის გულში აღგზნებას რომ აღანთებდა, ბოლშევიკებმა ტალახში გადაისროლეს, გადაისროლეს, ლაფში ამოავლეს. სამშობლო—მაშინ ამ სიტყვასთან იყო დაკავშირებული წამება, სისხლი, კატორღა, სიკვდილი.

იყო დრო ბოლშევიკები ათახსირებდნენ წარსულს. დესპოტი, რეაქციონერი, შავრაზმელი, თეთრგვარდიელი—ასე სთითხნიდნენ წარსულსა და დიდ ისტორიულ პიროვნებებს ბოლშევიკები. პარტიის დირექტივებითვე „დაკვრითი წესით“ მიმდინარეობდა ქალაქების და ქუჩების გადანათვლა, ისტორიულ ადგილების „გამუშურება“...

გაიქროლეს წლებმა. დადგა ბოლშევიზმის აღსასრულიც. მარქსისტული ბანგი ნისლივით გაიფანტა, „უძლეველი წითელი არმია“ ხუხულასავით დაინგრა, საბჭოთა მარშლებმა გენიალობა მხოლოდ უკან გაქცევაში გამოიჩინეს... განადგურების აჩრდილი მოევლინა კრემლს... წითელი სატრაპები შეშფოთდნენ...

ყველაფერი შეიცვალა. ბოლშევიზმი იცვლის კანს გველივით. ურწმუნონი მართლმორწმუნენი გახდნენ. ააჟღარუნეს ეკლესიის ზარები... სამშობლო—დაიღრიალეს ბოლშევიკებმა. ტალახიდან ამოათრიეს შეგინებული და ლაფდასხმული „სამშობლო“, მართალია ოდნავ „გამუშურებული“, „სოციალისტური სამშობლო“, მაგრამ მაინც სამშობლო...

„რუსის ერი...“

„სოციალისტური სამშობლო“!

„საბჭოთა პატრიოტიზმი“!—აი ლოზუნგები... და მილიონობით ხალხი მორეკეს სასაკლაოზე.

დადგა დრო და კომისარ-პოლიტრუკებმა ფრონტზე მოიტანეს „დირექტივებით“ შეკოწიწებული „პატრიოტიზმი“. გააცოცხლეს კუტუზოვები, ნეველები, სუვოროვები,—გადააქციეს ისინი ხატებად... დააწესეს ორდენებიც... არც ამან უშველა...

და ბოლოს საახალწლო საჩუქრად ბოლშევიკებმა ფრონტზე გადმოისროლეს ახალი დირექტივა. იგი წარსულის ბრმა თაყვანისცემის ლოღიკური გაგრძელებაა, მართალია, ახალი, ცოტათი შელამაზებული ფორმით. 1 იანვარს წითელი არმიის გაერთიანებულმა პოლიტიკურმა სამმართველომ გამოსცა ბრძანება წითელ არმიაში მეთაურთა შემადგენლობისათვის პაგონების შემოღების შესახებ. პაგონები ბრჭყვიალა. პაგონები ოქროს ვარაყისა, მაგრამ მაინც პაგონები...

ძნელია დაწვრილებით აღწერა ოქროვანი პაგონისა, ამბობენ იგი, ვარსკვლავებითა და მოელვარე ხაზებითაა მორთული—მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც პაგონია... პაგონს ხომ დასცინოდნენ და გლეჯდნენ ბოლშევიკები...იყო დრო ასე სჭირდებოდათ, არის დრო ასე სჭირდებათ. ოქროსფერი პაგონები მორიგი ღონისძიებაა წითელი მეთაურის ავტორიტეტის ასამაღლებლად. მერე და როგორ იციან ბოლშევიკებმა პიროვნების ამაღლება?!. ახლა ფრონტზე ალბად ვაგონობით მოაქვთ ოქროსფერი პაგონები, ამზადებენ მას ბითუმად, დასტობით... ქარხნებში სოციალისტური შეჯიბრებაა გაშლილი ოქროს პაგონების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დამზადებისათვის. ხატავენ მას გაზეთებში, აღწერენ რადიოთი, გამოაკრავენ პლაკატებით... ევაკუირებულ თეატრებში არტისტებსა და ბალერინებსაც ალბად ოქროს პაგონები აკერიან...ოქროს პაგონოსანნი, მერე და რა ავტორიტეტით სარგებლობენ ისინი, მათ ზურგში დგანან დამსჯელი ბატალიონები, რომელთაც ყოველფეხის ნაბიჯზე შეუძლიათ ჩააძაღლონ ეს უკაცრავად პასუხია, ოქროს პაგონოსანნი.

გამახსენდება წარსული... საკვირველია, როგორ იცვლიან ტყავს ბოლშევიკები. პაგონებით ფიქრობენ ისინი წითელი არმიის ბრძოლის უნარის აწევას, ვერც პაგონები, ვერც ექსელბანტები ვერ უშველიან ბოლშევიკურ ჯოჯოხეთს...

ლევ. ა. ნ.

# ჩვენი სიტყვა და ჩვენი შაშხანა

## მოვიტანთ ქათიბს მზისასა...

გაივლის მკაცრი ზამთარი
და აყვავდება ბარია,
გამოიღვიძებს სამშობლო
ზურმუხტი, ლალის თვალია!..
მ უვშორებულვართ ჭიუხებს
დაობლებულა ცხვარია
ძაძით მოსილან ხევები,
მამულს ვერ გაუხარია!..
მოსთქვამს საბრალო დედაი,
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა,
გაცივებულა კერაი,
ბატკანი სტირის კარზედა-..
არ იცის ბეჩავმა ქალმა
მისი შვილაი სად არი,
რომ აუსხია ვაჟკაცსა
მამა-პაპური აბჯარი!..
წასულა ბრძოლის ველზედა
ამოუწვდია ხმალია,
სამშობლოს დამმონებელი
აკაფოს ვითა მხალია!..
წადი ნიავო ფრთა-ლალო
გადაჰყე დარიალსაო
გადაურბინე მშობელ მთებს
ფშავში ჩაიტან ამბავსო:
დაგიბრუნდებით შვილები
მოვიტანთ შვება ლეხანსა
ვფიცავთ შენს კალთას პიტალოს,
მშობელ არაგვის დენასა ...
არ შევუდრკებით ვერაგ მტერს
სისხლით გავლებავთ მიწასა
დავლენავთ მონობის ხუნდსა
მოვიტანთ ქათიბს მზისასა!..

ლეგ. ვ. ფშაველი.




პლაკატი დახატული ლეგ. ი. ბ-ს მიერ.

## მინიატურები

1.

თუმც აქ ქართულ მზის სილაღეს ვკარგავ,
სადაც არ ვიყო,—უცხო ფონია,
მიწაც ჩვენებურს არა ჰგავს, მაგრამ
ცა მაინც ჩემი ქვეყნის მგონია!..

2.

სამშობლოვ! კიდევ როდის გიხილავ?!
მტანჯავენ შენზე მწარე ფიქრები!..
ამიღმართია ხმალი ვაჟკაცებრ
და ძმების მებრძოლ რიგებს მივყვები!.

3.

ხან მზე მფენია გულში იმედად
და სურვილები ცამდე მიმსვლია
ხან ტყვედ ვყოლივარ ღამის ფიქრებს და,
ხან სატრფოს თვალებს დავუნისლივარ!

4.

ბრძოლის სიმძაფრეს ველარ უძლებდე,—
აღარ შეშვენის დროს და ბუნებას...
მწარე ბრძოლაში უნდა ჰპოებდეს
კაცი ცხოვრების დანიშნულებას!...

5.

გული რად მივსცე ალვისტანიანს,—
რად ვაბატონო მაცდური გედი!—
ბრძოლაში კაცის მეგობარია
ხმალი და არა ფიქალი მკერდი!..

6.

ამბობენ: ახლა სამხრეთში ბნელა,
დედა-ქალაქი ობლად ტირისო!..
შენი შვილები აქა ვართ ყველა,
ნუ მოიცრემლვი დედავ თბილისო!..

ლეგ. ვ ურდოელი.

## სიმღერა

ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყანა
ვარდ-ყვავილების ფარჩით მოსილი,
სადარებელი მაღალ მზესთანა:
უხვი, გულღია, კლდეგამოსილი!..
გვიყვარს,ვუმღერით ხშირად მიტომაც
სამშობლო ჩვენი ყოფნის ფესვია
სისხლს არ დავზოგავთ შევებმით მტერსა,
წმინდა ანდერძი გულს გვითესია...
იცოცხლე მუდამ, გულით იხარე!..
ბრძოლის ქარცეცხლში ერთად ვიაროთ
მშობელო მიწავ, ნუ ხარ მწუხარე
დარი გვიდგება საგანთიადო!..

ლეგ. ა. ბარელი.

## შევფიცეთ ხმალსა

მზე ამოვიდა თვის ბრწყინვალებით
სამშობლოს ცაზე დადგება დარი,
მტრისგან ჯვარცმული და ნაწამები
ისევ აღსდგება მამული მკვდარი!..
იცვნეს დედაო შენმა შვილებმა
ვინა ყოფილა მოსისხლე მტერი,
და აღუმართავთ შაშხანა მაღლა
რომ გამოგიხსნან მშობელი ერი!..
აღგვიმართა მაღლა ლაჟვარდში
სისხლით ნაღები დროშა დიადი,
ფიცი მივიღეთ, შევფიცეთ ხმალსა
რომ გავუფანტოთ მამულს წყვდიადი!..

ლეგ. ა. მალველი.

## სტრიქონები იბრძვიან

სამშობლო, ბრძოლა დაჩაგრული მამულის აღდგენისათვის იყო და არის ქართული პოეზიის შთამაგონებელი წყარო. ჩვენი მადლიანი ქვეყნის მიწაზე მრავალგზის დაგუბებულა უძირო ჭმუნვა. ულმობელ მტრებს ცეცხლით გადაუფერფლიათ ჩვენი ერის დიდება. მაგრამ ჟამთა სიავეს მაინც ვერ აღუკვეთავს ბრწყინვალე წარსული, ვერ წარუშლია სახელოვანი კვალი. მწარე ბედმა ქართველ ხალხს ასწავლა მტერთან შეურიგებლობა, იგი იბრძოდა საუკუნეთა მანძილზე, სისხლით სწერდა თავის ისტორიას, იყო აღგზნება მამულის აღორძინებისათვის. მტერთაგან შევიწროებულნი ჩენი წინაპრები თუ ხმლის ტრიალით ვერ აღსდგებოდნენ, დამდაგავის ხმით მაინც დაიქუხებდნენ, რომ სულ არ გამქრალიყო იმედის კელაპტარი.

გოდებითაა ალსავსე ქართული პოეზია. დედის ძუძუსთან ერთად შეზრდია ქართული ხალხის თაობებს ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანების ცრემლით დასვენებული ლექსები, აქვითინებულან მამულის უმწეო ბედზე. უიმედობის ისრებით გულდაცხრილულ პოეტს მაინც სწამდა ბრძოლა, იგი დასჭიმავდა ცრემლით დანამული ქნარის სიმებს, მხნეობისა და ბრძოლის მომწოდებელი ყიჟინა აღმოხდებოდა გულიდან. ახალგაზრდა თაობას გმირულად წარმოუთქვამს ახალი სიტყვა, აუმხედრებია იგი ვით გრიგალი მამულის გამოსახნელად, ცაზე ქარიშხალივით დაუქუხია დიდ ილიას. „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა მივსცეთ ეომავალი ხალხს“ და ერი აღუნთია ბრძოლის ცეცხლით.

წინაპართა ამ ტრადიციულ ადათს აგრძელებს ჩვენი ახალგაზრდა თაობა, რომელიც გმირულად იბრძვის საქართველოს განთავისუფლებისათვის. ქართული ლეგიონის ლიტერატურული ახალგაზრდობა მთელი თავისი შემოქმედებითი უნარით ემსახურება უწმინდეს საქმეს—ერის გამოფხიზლებას, მათ აღშფოთებთ ის გარემოება, რომ „შავი ძაძებით მორთულია ქვეყანა გზის და მშვენების“, „ჩამკვდარა ქართველთ მხნეობა, გაცივებულა კერაი“, მაგრამ სწამთ გამარჯვება, სწამთ ჭეშმარიტებით აღძრული ბრძოლა, რომელსაც გერმანელი ხალხი მეთაურობს და რომლის ქარცეცხლში უნდა გამოიჭედოს ქართველი ერის ბედიც.

ქართულ ლეგიონში მრავალი ახალგაზრდა მგოსანია. გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება მათი შემოქმედება. რაოდენი სითბო და მგზნებარებაა მათს ტრიქონებში, ისინი ხომ ჭაბუკი ადამიანების რაინდულ გრძნობებს გამოჰხატავენ მამულისადმი უანგარო სიყვარულის ცეცხლით არიან ანთებულნი.

„სამშობლოვ!.. კიდევ როდის გიხილავ?
მტანჯავენ შენზე მწარე ფიქრები
აღმიმართია ხმალი ვაჟკაცებრ
და ძმების მებრძოლ რიგებს მივყვები“.

ამბობს ლეგიონერი პოეტი **ვ. ურდოელი.** მის ლექსებში იგრძნობა ქართული პატრიოტული სული:

„ბრძოლის სიმძაფრეს ველარ უძლებდე
აღარ შეშვენის დროს და ბუნებას,
მწარე ბრძოლაში უნდა ჰპოვებდეს
კაცი ცხოვრების დანიშნულებას“.

სწერს იგი და ეს არის მთელი ქართველი ლეგიონერი ახალგაზრდობის აზრი, ახალგაზრდობის რომელმაც უნდა მისცეს ერს მამაცალი,საკუთარი სისხლით, რომ სწერს გამარჯვების უკვდავ საქმეებს.

რედაქციას ხშირად მოსდის მოხევე ლეგიონერის ვ. ფშაველის ლექსები. გერგეთის კლდესავით სალნი, მაგრამ გულის ამადუღებელნი არიან მოხევე ლეგიონერის ფიქრები. მას აწუხებს მამულის სევდა. „ძაძით მოსილან ხევები, მამულს ვერ გაუხარია,გაცივებულა კერაი,... ბატკანი სტირის კარზედა...“ მაგრამ მას სწამს, ისიც, რომ „გაივლის მკაცრი ზამთარი და აყვავდება ბარია, გამოიღვიძებს სამშობლო ზურმუხტი ლალის თვალია“. მოხევე ლეგიონერი ასე მიმართავს მამულს:

„ვფიცავთ შენს კალთს პიტალოს,
მშობელ არაგვის დენასა,
არ შეუდრკებით ვერაგ მტერს
სისხლით გავლებავთ მიწასა“.

ლეგიონერი პოეტების ყველა ლექსი თავდება სამშობლოსადმი ფიცით. ეს გასაგებიცაა. ღვიძლი შვილი ეფიცება მშობილ მიწას:

„შემყარე ონავარ მტერსა
მკერდი გაუპო მახვილით,
სისხლი ავილო და მოძმეთ
გული გავუთბო ძახილით“.

ამბობს ლეგიონერი პოეტი **ვ. ტ.**

„სისხლით შევღებავთ შენს მიწას უხვსა
მტერს არ დავინდობთ გავატიალებთ
ადათად გვიძღვის რაინდი რწმენა
ხმალს და მკლავს ერთად დავატრიალებთ“.

ეს სიტყვები ეკუთვნის ლეგიონერს ვ. ფშაველს, ამას ახლა მთელი ლეგიონი იმეორებს. ბრძოლის სულით ანთებუ ლექსებს სწერენ აგრეთვე ლეგიონერები **გ.სისაური, ვ. ბარელი** და ი. **ზ.** უკანასკნელი ბრძოლის ველზე დაიჭრა და ფრონტიდან გამოგზავნა რამდენიმე ლექსი. ჰკითხულობთ მათ სტრიქონებს, ისინი ელვარებენ ბრძოლის ყიჟინით, რითმები ჰქუხან, შფოთავენ... სტრიქონები იბრძვიან... სტრიქონები იბრძვიან ჭეშმარიტად!

ლეგ. ა. ი.

# ბაგრატ დიდი

საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. გიორგი ბრწყინვალის ვაჟმა აღორძინებულ მამულზე მხოლოდ თოთხმეტი წელი იმეფა. იგი ადრიანად გარდაიცვალა, სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი ბაგრატ მეხუთე. მახვილგონიერებითა და სიმამაცით ბაგრატი სახელოვანი წინაპრის, გიორგი ბრწყინვალის ჭეშმარიტი განსახიერება იყო. ახალგაზრდა მეფე დაუღალავად ეწეოდა ქვეყნის სამსახურს, ებრძოდა მტრებს, იმარჯვებდა მათზე, მაგრამ მამულის საუბედუროდ ქართველ ერს კვლავ დაატყდა თავს ახალი აოხრება. მე-14-ე საუკუნის დასასრულს შუა აზიაში აღზევავდა თემურ-ლენგი, მან შეჰკრა მონღოლთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, ცეცხლით მოიარა რუსეთის ვრცელი ველები, დაიმორჩილა ინდოეთი, დაარბია სპარსეთი.

მონღოლები საქართველოს ახლა ეწვიენ, როგორც მაჰმადიანები, მათ სისხლითა და ცეცხლით მოჰქონდათ ისლამიზმის დროშა, ხმლითა და იძულებით ნერგავდნენ თავიანთ სარწმუნოებას დაპყრობილ ერებში. საქართველოსათვის, რომელმაც არა ერთ გზის განიცადა მონღოლთა ურდოთაგან მოყენებული ტანჯვა, ათასჯერ უფრო საშინელი და გამანადგურებელი იყო თემურ-ლენგის შემოსევა.

1380 წელს თემურ-ლენგმა გადმოლახა ყარაბაღი და პირდაპირ მოადგა თბილისს. მაშინ სამეფო ტახტზე ისხდა ბაგრატ მეხუთე. მეფე შეაშფოთა მტრის მოულოდნელად შემოსევამ, მან კარგად იცოდა რას ნიშნავდა თემურ-ლენგთან ბრძოლა, მიუხედავად ამისა არ შეუშინდა მონღოლებს, შეჰკრიბა ჯარი, გაამხნევა მხედართმთავარები, გაამაგრა ქალაქი, რომელსაც მაშინ ვებერთელა გალავანი უვლიდა გარს. თემურ-ლენგი არ ზოგავდა ძალას ხელში ჩაეგდო სამეფო ქალაქი, დაეტყვევებინა მეფე. ქართველთა ჯარი ხშირად გამოდიოდა თბილისიდან, მოულოდნელად ესხმოდა თავს მტერს, ქლეტდა მათ და უკან ბრუნდებოდა სიმაგრეში. გმირულად იცავდა ქალაქს ქართველთა ლაშქარი. ბრძოლა 6 თვეზე მეტს გრძელდებოდა, მტრის ლაშქარი განახევრდა, გარეუბნები სისხლით იყო მორწყული...

გააფთრებულმა მტერმა მაინც სძლია ქართველთ, შეიჭრა თბილისში.
მეფე ბაგრატი თავისი მეუღლით ერთ-ერთ ციხეში გაიხიზნა, ეს ციხე რამდენიმე დღეს ებრძოდა გამხეცებულ მონღოლთ. ბაგრატი იძულებული გახდა მონღოლთათვის უვნებლობის ფიცი ეთხოვა. თემურ-ლენგმა მეფე-დედოფალი დაატყვევა, წაიყვანა თავის საბრძანებელში. თბილისის ციხეში ურჯულოებმა მოიკალათეს.



აწყურის ციხე

მალე თემურ-ლენგმა გაგზავნა ჯარი რათა აეოხრებინათ კახეთი, ძირფესვიანად ამოეგდოთ ქრისტიანობა, იგი აიძულებდა ბაგრატს უარეყო ქრისტიანული სარწმუნოება. მეფის ნაღველი უსაზღვრო იყო, მას აძრწუნებდა სარწმუნოების ღალატი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ბაგრატი დაეთანხმა თემურ-ლენგს და სთხოვა გაეყოლებია მისთვის ჯარი საქართველოს გამაჰმადიანებისათვის.

თემურ-ლენგი ცას წვდებოდა სიხარულით. შეკრიბა 12 ათასიანი ლაშქარი და საქართველოში გამოგზავნა. ბაგრატმა ყველაფერი ეს საიდუმლოდ შემოუთვალა შვილს, უკანასკნელი ჩაუსაფრდა მტერს. მონღოლთა ჯარი მიუახლოვდა თბილისს და დაბანაკდა. დილით ადრე ბანაკს ქართული ლაშქარით თავს დაესხა მეფის შვილი. მონღოლთა ჯარი სულ ერთიანად გასწყვიტეს. მეორე დღეს შუადღისას გამარჯვებული ბაგრატი დაფდაფის მებრძოლი ხმით დაბრუნდა თბილისს, აიღო ციხე, გასწყვიტა შიგ შეხიზნული მონღოლთა ჯარი.

თემურ-ლენგი თავრიზში იყო. მას მიუტანეს შემზარავი ამბავი, ქართველთ ჯარმა ნახიჩევანი აიკლო და მთელი არეზის მიღმა მდებარე მიდამო დაიპყრო. ყაენი განრისხდა, კიდევ უფრო მეტი სიძულვილით იღვიძებს მასში ავსილი შურისძიების გრძნობა: ქვა-ქვაზე უნდა დაედუღებინა, ქართველობის სახელი ძირბუდიანად ამოეგდო. ამას კარგად გრძნობდა ბაგრატ მეფე, ამიტომ მან საქართველოს ყველა კუთხეში აფრინა კაცნი, შეჰკრა ლაშქარი. მეფის გამბედაობა აღფრთოვანებდა ხალხს, იგი რაინდული სულით იკრიბებოდა მეფის გარშემო. იმერეთიდან, კახეთიდან, ესხეთიდან, მთებიდან—მოდიოდნენ სამშობლოს სიყვარულით გულგახურებულნი ვაჟკაცნი, ამაგრებდნენ ციხეებს, ემზადებოდნენ მტრის შესახვედრად.

თემურ-ლენგი აიშალა დიდძალი ჯარით. 1399 წელს საქართველომ მეოთხედ იგემა თემურ-ლენგის ურდოთა შემოსევა. ქართველნი მამაცად დახვდნენ მტერს, გაჩაღდა უსაშინელესი ომი. საქართველოს ისტორიაში ეს ომი აღნიშნულია ერისა და მისი სარწმუნოების დაცვისათვის ერთ-ერთ დიდ მამულიშვილურ ბრძოლად. განთიადიდან მზის გადახრამდე უტევდნენ ქართველები მტერს ხმალ და ხმალ. ველზე დახოცილთა მთები იდგა. მონღოლთა რაზმებში ცხენებით იჭრებოდნენ თითო ოროლა ქართველნი და ათეულობით ურჯულოებს ჰკაფავდნენ. **„ქართლის ცხოვრება“** ასე აღწერს ამ ომს: **„ვიდრე შვადღემდე და მიდრეკასა მზისასა სძლიეს ქართველთა და მოსრნეს თემურისანი მრავალნი რაზმნი და მწყობრნი, ურიცხვნი ივლტოდნენ“.**

თემურ-ლენგს არც ერთ ქვეყანაში არ შეხვედრია ისეთი ბრძოლა და წინააღმდეგობა, როგორც საქართველოში. იგი არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა, იყენებდა ყოველგვარ ხერხს, იარაღს გაეტეხა ქართველთა რაინდული სული, ბრძოლის უნარი, მაგრამ ამაოდ, ქართველები ციხეებში რომ ველარ უმაგრდებოდნენ მტერს, შერბოდნენ გამოქვაბულებში და განაგრძობდნენ თავგანწირულ ბრძოლას. მონღოლები ისრებზე ამაგრებდნენ ჩვრებს, ამოავლებდნენ მათ ნავთში, გაუჩენდნენ ცეცხლსა და ისროდნენ გამოქვაბულებში რათა ცეცხლი გაეჩინათ, კვამლით დაეხრჩოთ ქართველნი. თემურ-ლენგმა კლდეებში კალათებით დაუწყო ჯარს ჩაშვება, მაშინ ჰიუხებიდან გამორბოდნენ ქართველნი, ხმლით ჰკვეთდნენ კალათის თოკებს, მონღოლები უფსკრულში მიექანებოდნენ. თემურ-ლენგმა ბრძოლის ველზე ახალი, შესვენებული ჯარი მოიყვანა, ქართველთა ლაშქარი სისხლისაგან იცლებოდა. მტერმა სისხლით შეღება კლდეები, ხეობები. ქართველები მაინც არ ჰყრიდნენ იარაღს, ბაგრატ მეფის მეთაურობით ქართული ლაშქარი დაიძრა ჩრდილოეთისაკენ..

და შევიდა თემურ-ლენგი თბილისში. სამეფო ქალაქს მრავალი აოხრება განუცდია, მაგრამ ის, რაც ჩაიდინეს თემურ-ლენგის ულმობელმა და ბარბაროსმა ჯარისკაცებმა, ყოველგვარ წარმოდგენას აღემატება. თემურ-ლენგმა მთლიად გადასწვა მცხეთა, საძირკვლიანად დაანგრია სვეტი-ცხოველი, გააჩანაგა ქვაბთახევის მონასტერი, ამოჟლიტა ბერობა. ისტორიული ცნობების მიხედვით თემურ-ლენგის მიერ დანთებული ხანძრის ალით გადაიფერფლა ჩვენი მამულის 700 მდე ქალაქი და სოფელი. დაიღუპა ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები, გაიხრწნა ქართული ზნეობა, დაქვეითდა ცენტრალური სახელმწიფო აპარატი, ძირი გამოეთხარა დამოუკიდებელ ცხოვრებას.

ხალხი ვერ ურიგდებოდა მტერს. ქართველთა მცირე რაზმები ჩასაფრდებოდნენ აქა იქ მთებში და ებრძოდნენ მონღოლებს. თემურ-ლენგი გრძნობდა, რომ გამარჯვება არ იყო სრული, ძნელი იყო ქართველი ხალხის დამონება. იგი გაუდგა გზას თავის საბრძანებლისაკენ.

გახიზნულ ქართველობას ბაგრატ მეფე კვლავ უყრის თავს, შთაუნერგავს ეროვნული ერთიანობის გრძნობას. მეფის მეთაურობით იწყება უდიდესი აღდგენითი აღმშენებლობა საქართველოში. მამული მტრისგან გაპარტახებული ნელ-ნელა იღვიძებს, აღსდგებიან აოხრებული ეკლესიები, მონასტრები, ტაძრები, ციხეები, ქალაქები, სოფლები. ბაგრატი თავგამოდებით იბრძვის თურქთა განდევნისათვის, რომლებიც თემურ-ლენგმა ჩამოასახლა საქართველოში. ამ გარემოებას შეუწყო ხელი იმანაც, რომ თემურ-ლენგი სხვა ქვეყნებთანაც ჩაება ომში. ისარგებლა რა ამით ბაგრატმა სულ ერთიანად გასწმინდა საქართველო ურჯულოთაგან.

ბაგრატ მეფემ 35 წელიწადი მართა სამეფო. სამშობლოსადმი დიდი ამაგითა და ზრუნვით დამაშვრალი სული მან მიაბარა მიწას, რომლის თვითეული მტკაველისათვის გაუღია საკუთარი სისხლი. ერმა დააფასა მეფის ღვაწლი და უწოდა მას „ბაგრატ დიდი“. მეფის სახელოვანი ბრძოლანი, ამაგი მშობელი ერისათვის საუკეთესოდ აქვს გადმოცემული აკაკი წერეთელს უკვდავს პოემაში „ბაგრატ დიდი“.

დაჩაგრული მამულის აღორძინების გულმხურვალე სურვილით გამსჭვალული მეფე ამბობს:

> **„ჩემი სამშობლოს გამოხსნისათვის**
> **უკანასკნელად ეს მოვიგონე**
> **და საიქიოც რომ დავივიწყე,**
> **სული ჯოჯოხეთს მე დავამონე.**
> **ვიცი, იქ ტანჯვა უკუნისამდე**
> **არ მომეშლება, არ არს ადვილი!..**
> **მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს**
> **იმას არ ჰქვიან მამულისშვილი!“**

შვიდჯერ შემოესია საქართველოს თემურ-ლენგი, შვიდჯერ გადაიჯირითეს მის უმანკო მკერდზე ცეცხლითა და მახვილით მონღოლთა სასტიკმა ურდოებმა, მაგრამ ქართველ ხალხს არ დაუკარგავს ბრძოლის სული, მის გულში არ ჩამქრალა მამულისადმი თავდადების მგზნებარე ცეცხლი, ხელიდან არ გაუგდია რაინდული ხმალი. სიკვდილის წინ ქართველი ხალხის შეურიგებელ მტერს თემურ-ლენგს ჩვენი მამულის რაინდობამ ოდესღაც ათქმევინა: **„...მთელი აზია დავიმორჩილე საქართველოს გარდა. მთელი ჩემი სიძლიერე საქართველოს შევალიე და ჩემის გუნებისად ვერ დავიმორჩილე, საყმაოდ თავი ვერ დავადებინეო“.**

ბაგრატ დიდის მეფობა საქართველოს ისტორიაში ცნობილია ქართველი ერის გმირული ბრძოლებით სარწმუნოებისა და ქართველობის დაცვისათვის, შემონახვისათვის. ამ უკვდავმა და სხივმოსილმა ტრადიციამ უნდა დაჰბადოს ქართველ ახალგაზრდობაში ახალი პატრიოტული ძალა. კვლავ უნდა განახლდეს მამულიშვილური გრძნობანი საქართველოს განთავისუფლებისათვის.

**ლეგ. ლ. ლინი.**



სანძთის მონასტერი



შატბერის მონასტერი

## კვირეული ილუსტრირებული მიმოხილვა











გერმანელთა ტანკები აღმოსავლეთის ფრონტზე. — უნგრელი მოცეკვავეები გერმანელ ჯარისკაცებთან. არაბი ნაციონალისტები. — გერმანელთა საზენიტო ბატარეა მტრის მოლოდინში. — საკვების მიღება კავკასიის ფრონტზე.

# ქუმოთი

## ანეგდოტები

### ქათმის საჩივარი

ბოლშევიკები მეტად ავიწროებდნენ და სულს ართმევდნენ მშრომელ გლეხობას. 1932-33 წლებში საქართველოში შემოიღეს კვერცხის სავალდებულო ჩაბარებაც კი. გლეხს არ ჰქონდა უფლება კვერცხი გაეყიდა ბაზარზე. სამტრედიელსა და გურიის სოფლების გლეხებს მალულად გაჰქონდათ იგი და ჰყიდნენ. მთავრობა სჯიდა და აჯარიმებდა კვერცხით მოვაჭრეებს. გლეხობა აღშფოთებული იყო ამ მდგომარეობითა და თავის უკმაყოფილებას ლექსადაც კი გამოხატავდა.

ერთერთმა გურულმა გლეხმა, რომელსაც ბოხი ხმა ჰქონდა და სოფელში როხროხაძეს ეძახდნენ მახლობელი რკინისგზის სადგურის ბაქანზე, ღამით მკვდარი ქათამი ჩამოჰკიდა. იქვე მიაკრა ნაგლეჯი ქაღალდი, რომელზედაც ეწერა: „ქათმის საჩივარი“. შემდეგ მოჰყვებოდა რამდენიმე სტრიქონი ლექსად:

„ნიკოლოზის ხელშია
ერთ კვერცხსა ვსდებდი დღეშია,
მენშევიკების ხელშია,
ორი მომთხოვეს დღეშია,
კომუნისტების ხელშია,
სამიც არ ჰყოფნით დღეშია,
ველარ გაუძელ ამ ჭირსა
სულიც ამომხდა ყელშია“.

### ჯარიმა

დიდი დავი-დარაბისა და წვალების შემდეგ ერთმა გლეხთაგანმა კრემლის კომენდატურისაგან როგორც იყო, მიიღო ნებართვა შესულიყო სტალინთან, მოაღწია ამ დღემაც, გლეხი მიჰყვება გრძელ კიბეს, მან ველარ მოითმინა იქეთ-აქეთ მოიხედა და მერე ლაზათიანად გადააფურთხა. ნათქვამია: უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო და სწორედ ასე გახლდათ. საბრალო გლეხს მეთვალყურემ მოჰკრა ყური და 3 მანეთით დააჯარიმეს.

გლეხი ესაუბრა სტალინს. წამოსვლის წინ იგი შეეკითხა სტალინს,სად მიდიოდა ის თანხები, რომლიც შემოდიოდა ჯარიმებისაგან.

სტალინმა ამაზე მიუგო: ყველა ეს თანხა სოციალიზმის შენებას ხმარდებაო.

მაშინ გლეხმა ველარ შესძლო თავის შეკავება და წამოიყვირა:

რამდენჯერ უნდა გადავაფურთხო, რომ იმ ტიალი სიციალიზმის შენება დამთავრდესო!

### სწორი პასუხი

უცხოელი ჟურნალისტები კრემლში სტალინთან საუბრობდნენ. საუბრისას „ხალხთა ბელადმა“ განაცხადა, რომ ადამიანი საამურად ცხოვრობსა და მზადაა თავი შესწიროს მის ბელადსაო. ამის დასამტკიცებლად სტალინმა ქუჩიდან შემოაყვანინა ერთი მოქალაქე.

—აბა, ფანჯარიდან გადახტი—უბრძანა იმას სტალინმა. მოქალაქე მივიდა ფანჯარასთან, გამოაღო იგი; მაშინ ჟურნალისტები მივარდნენ მასთან, ჩაავლეს მკლავში ხელი და ჰკითხეს: ვისთვის იკლავს თავსაო.

მოქალაქემ უპასუხა:

—ბოლშევიკების ხელში ცხოვრებას სიკვდილი სჯობს, ყოფნა ისე გაგვიმწარდა სიცოცხლე არაფრად გვიღირსაო.

## მოკლე ცნობები

▲ირაქის „რეგენტი“ აბდულ ილლახი ეგვიპტეში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ჩამოვიდა ბაღდადში.

▲ „ცისფერი დივიზიის“ მეთაური აღმოსავლეთის ფრონტზე გენერალ-ლეიტენანტი მუნოზ გრანდე ამჟამად იმყოფება ესპანეთის სამხედრო მინისტრის განკარგულებაში.

▲როგორც ლონდონიდან იტყობინებიან ჩრდილო აფრიკაში მოვიდა კანადის ჯარისკაცთა ახალი ნაწილები.

▲პორტუგალიის სახელმწიფო ბიუჯეტის 40 პროცენტი 1943 წელს დაიხარჯება ქვეყნის სამხედრო თავდაცვის გაძლიერებისათვის.

▲პალესტინაში ებრაელ პოლკოვნიკს კეცს მიენიჭა ბრიტანეთის არმიის გენერალის სახელწოდება.

▲ამერიკელმა გენერალმა ეიზენხოვერმა ხელახლა მიიღო ესპანელი კომუნისტი ნეგრინი.

▲ამერიკის შეერთებული შტატების დაწოლით პანამის რესპუბლიკის ნაციონალურმა კრებამ გაუგრძელა რწმუნება პრეზიდენტ დელაგარდიას ორი წლის ვადით.

▲არგენტინისა და ბრაზილიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც არგენტინა ადიდებს პურის დამზადების რაოდენობას ბრაზილიაში.

▲ამერიკის შეერთებული შტატების დანაკარგი ომის ღ.წყებიდან შეადგენს 61 ათასს კაცს.

▲უნგრეთის მთავრობამ თავისი კეთილ დამოკიდებულების განმტკიცების მიზნით ჩინეთის ნაციონალურ ხელისუფლებასთან დააწესა თავისი წარმომადგენლობა შანხაიში.

▲ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ თანახმად ფინანსთა მინისტრის განცხადებისა სახელმწიფო ვალი ამერიკის შეერთებულ' შტატებში აღწევს 112 მილიარდ დოლარს.

▲მექსიკო-სიტიდან იუწყებიან, რომ ჩატარდა 20 ათასიანი მუშათა დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო ახალი საბინაო გადასახადისა და საკვებ პროდუქტებზე ფასების გადიდების წინააღმდეგ.

### კონფერენცია შონანში

20 იანვარს შონანში ჩატარდება იაპონიის სამხედრო მოხელეთა, მალაისა და სუმატრის სულთანთა კონფერენცია. კონფერენცია განიხილავს საკითხს ამ ქვეყნების ტერიტორიაზე აღმშენებლობის შესახებ.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28

ქართული სტამბა, ბერლინი.
გამოცემა: Deutscher Verlag. Berlin.